

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს


ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს გაიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 10- 10(ათი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე



ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №10

ქ.ლანჩხუთი

29.08.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე, გოდერძი ქურიძე, ციციხო ჩხაიძე, გიორგი გვარჯალაძე, ვლადიმერ ნანაძე, ზაალ სანაძე, გიორგი ჩახვაძე, დავით ჩხარტიშვილი, თორნიკე ტიკაძე.

მოწვეული პირები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

4. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესისა და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველბთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებსა და საავტომობილო გზების გასწვრივ, ასევე ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებში წვრილოფეხა და მსხვილოფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმწრდელი ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ბ; კვირკველიას ქუჩა N21-ში მდებარე 700.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართობით 137, 53 კვ.მ; (ს/კ 27.06.56.647)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ბ.კუპრაძე/

12. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააგნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა სარეზერვო ფონდის განკარგვის წესზე,ზოგად დებულებებზე,სარეზერვო ფონდის განკარგვაზე,ფონდიდან თანხის გამოყოფაზე.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპებზე, მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულებაზე.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვითაც „გამგეობი“-ს და „გამგებელი“-ს ნაცვლად ჩაიწერება „მერია“ და „მერი“.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაკრობის რეგულირების წესისა და გარე ვაკრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ იზოლატორში გადაყვანილი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ჯარიმის გადახდის ოდენობასა და წესს, ასევე მხარეთა უფლება-მოვალეობებს. მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი ექვემდებარება დაუყოვნებლივ იზოლაციას. ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებსა და საავტომობილო გზების გასწვრივ, ასევე ქ. ლანჩხუთის ქუჩებში წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, პირუტყვის მესაკუთრის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის იზოლაციის შემთხვევაში ხორციელდება მათი ტრანსპორტირება და განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე მოვლა-შენახვით და სათანადო კვების უზრუნველყოფით. ასევე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 20 დღის ვადაში. იზოლირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში, მიაკითხოს არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიულ პირს-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და

„მოსახურების ცენტრს“ და წარუდგინოს პირუტყვის მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი /შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა./ მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ იზოლაცორში გადაყვანილი წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯები შეადგენს 10 ლარს. მოსახურების საფასური გაიანგარიშება პირუტყვის სულადობის მიხედვით. ჯარიმა და მოსახურების საფასური მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ჯარიმისა და მოსახურების საფასურის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მოსახურების ცენტრს“.

დადგენილების პროექტზე ფრაქციის წევრებმა გამოთქვეს შენიშვნა :

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალოს და დაკონკრეტდეს კონკრეტული ადგილები(პარკი,სკვერი), სადაც მოხდება წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ჯარიმება.

დებუტატმა გიგი გვარჯალაძემ აღნიშნა რომ, ქალაქ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის წინ საჭიროა დაემატოს კიდევ ერთი მეველე, რომელიც გააკონტროლებს პირუტყვის გადარეკვას.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე 1679.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 190.30 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - ყოფილი საბავშვო ბაღი (ს/კ 27.04.51.050)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპ-ის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ, ჭყონაგორის ბიბლიოთეკის განსათავსებლად.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.
ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმწერდელი ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, კერძოდ: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოლოზარგში მდებარე 4399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.04.51.274) და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ლესაში მდებარე 2609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1147.34 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.10.46.003), სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. აღნიშნულის შესაბამისად, უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმწერდელი ცენტრი“-სათვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპი-ს ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.
ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთექვსმე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ ემატება შემდეგი ობიექტები:

ა) ლანჩუთის მუნიციპალიტეტის აგანის ადმ.ერთეულის სოფ.აგანაში მდებარე ყოფილი საერთო საცხოვრებლის (ს/კ 27.02.42.012) დემონტაჟი მიწის გარეშე, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 15 ივნისის №5003691518 დასკვნით განსაზღვრული დემონტაჟის ღირებულების 5466 ლარი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულების -4425 ლარის სხვაობით, რაც შეადგენს-1041 (მინუს ერთი ათას ორმოცდაერთი) ლარს. ყოველი აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს სიმბოლურად 300 ლარის ოდენობა.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმ.ერთეულის სოფ.შუხუთში მდებარე ყოფილი კულტურის სახლი (ს/კ 27.05.46.024) დემონტაჟი მიწის გარეშე, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 26 ივნისის №5003942518 დასკვნით განსაზღვრული დემონტაჟის ღირებულების 8850 ლარი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულების -9495 ლარის სხვაობით, რაც შეადგენს-645 ლარს. ყოველი აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს დემონტაჟის ღირებულებისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულებას შორის სხვაობა, კერძოდ 645 ლარის ოდენობით.

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმ.ერთეულის სოფ.ხაჯალიაში მდებარე ყოფილი საერთო სკოლის (ს/კ 27.14.50.005) დემონტაჟი მიწის გარეშე, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 26 ივნისის №5003942518 დასკვნით განსაზღვრული დემონტაჟის ღირებულების 4081 ლარი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულების -2219 ლარის სხვაობით, რაც შეადგენს-1862 ლარს. ყოველი აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 250 ლარის ოდენობა.

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმ.ერთეულის სოფ.ხაჯალიაში მდებარე ხაჯალიის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული ფარდულის დემონტაჟი (ს/კ 27.14.45.261) დემონტაჟი მიწის გარეშე, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2018 წლის 26 ივნისის №5003942518 დასკვნით განსაზღვრული დემონტაჟის ღირებულების 1748 ლარი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულების -1984 ლარის სხვაობით, რაც შეადგენს-236 ლარს. ყოველი აქედან გამომდინარე უპრიანი იქნება საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს დემონტაჟის ღირებულებისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა, კერძოდ 236 ლარის ოდენობა.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.
ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ბ; ვვირკველიას ქუჩა N21-ში მდებარე 700.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართობით 137, 53 კვ.მ; (ს/კ 27.06.56.647)) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ომარ ჯანაძემ. მან აღნიშნა, რომ სამსახურს დაეწერა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის, ავთანდილ თალაკვაძის 2018 წლის 8 აგვისტოს N12/1805 წერილი, რომლითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროული და უწყვეტი

მიწოდების უზრუნველსაყოფად მოთხოვნილია ქ.ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქუჩა N11ბ; კვირკველიას ქუჩ N21-ში მდებარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 27.06.56.647) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემა.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე. ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატმა გოდერძი ქურიძე აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯუნჯუათში სკოლასთან არის მოსაწესრიგებელი გზის მონაკვეთი, საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას, რადგან უამინდობის დროს ტრანსპორტი ვერ ახერხებს გადაადგილებას.

დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც იგება გზის მონაკვეთი, მოსახლეობის თქმით არ არის საკმარისი რაოდენობის სამშენებლო მასალა რის გამოც არ იქნება ხარისხიანი აღნიშნული გზა.

დეპუტატმა ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ დაუყოვნებლივ მოსაწესრიგებელია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონები.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე:



ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
29.08.2018 წელი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ზესიკ კუპრაძე	13 57	
2. ზესიკ ტაბიძე	13 55	
3. ვლადიმერ ნანაძე	13 55	
4. გოდერძი ქურიძე	13 55	
5. კახა თედორაძე	ს.ი. ესნუროძე	
6. რეზო კვაჭაძე	ს.ი. ესნუროძე	
7. ციციხო მხაიძე	13: 56	
8. ზაალ სანაძე	13. 55	
9. ცისანა ურუშაძე	ს.ი. ესნუროძე	
10. გიორგი ჩახვაძე	13-55	
11. გიორგი გვარჯალაძე	13. 57.	
12. დავით ჩხარტიშვილი	14 05	
13. თორნიკე ტიკაძე	13: 58	
14. კახა ბოლქვაძე	მკვეციანი	
15. რევაზ კვერენჩილაძე	ს.ი. ესნუროძე	